საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 1 18 00705528

26/03/2018

"საქართველოს რეფორმების ასოციაციის" დირექტორს
ბატონ პაატა გაფრინდაშვილს

ელექტრონული ფოსტის მისამართი: Irina gurgenashvili@yahoo.com

ბატონო პაატა,

2018 წლის №557738 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ინფორმაციით, 2012 წლის 15 ნოემბერს ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის მე-4 განყოფილებაში მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის № 004151112007 საქმეზე, ქ. თბილისში "ლილო"-ს ბაზრობის ტერიტორიაზე განთავსებული მაღაზიების ხანძრის შედეგად განადგურების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე დათვალიერებულ იქნა შემთხვევის ადგილი და ბაზრობის ტერიტორიაზე ხანძრის შედეგად განადგურებული ჯიხურების მეპატრონეები. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში არავინ მიცემულა. მიმდინარეობს გამოძიება;

-2013 წლის 27 თებერვალს, სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის მე-8 განყოფილებაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №001270213001 საქმეზე, ქ.თბილისში ერისთავის ქუჩა N5-ში განთავსებულ სავაჭრო ცენტრ ,,საბა''-ში გაჩენილი ხანძრის ფაქტზე. დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით. საქმეზე მიმდინარე გამოძიების მსვლელობის დროს ჩატარებულია სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებები, დათვალიერდა შემთხვევის ადგილი შესაბამის ექსპერტთა მონაწილეობით, დანიშნული და ჩატარებულია ექსპერტიზები. აღნიშნული სისხლის სამართლის საქმეზე, მიმიდნარეობს გამოძიება.

0114, თბილისი, გულუას ქ.10 ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (995 32) 2411005
10, G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: (+995 32) 2411008 / Fax: (+995 32) 2411005
www.police.ge; e-mail: police@mia.gov.ge

-2014 წლის 27 დეკემბერს, ქ.თბილისში ბაზრობა "ელიავა"-ს ტერიტორიაზე, სადაც იყიდება მეორადი ავტონაწილები, ცეცხლი გაუჩნდა ნაგვის ბუნკერს. ხანძარი მაშინვე იქნა ლიკვიდირებული და ხანძრის შედეგად მითითებულ ტერიტორიაზე მოიჯარეების ქონება არ დაზიანებულა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, აღნიშნულ საქმეზე გამოძიება არ დაწყებულა.

-2015 წლის 4 აგვისტოს, სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე–ჩუღურეთის სამმართველოს მე–2 განყოფილებაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №002040815004 საქმეზე, ქ. თბილისში, გუდაუთის ქ. N7-ში მდებარე საწყობში ხანძრის გაჩენის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მე-4 ნაწილით. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2015 წლის 4 აგვისტოს, ქ. თბილისში, გუდაუთის ქ. N7-ში განთავსებულ შპს „პროფიკოლ+“-ში და შპს ,,ბი ემ სი დისტრიბუციაში“ გაჩენილი ხანძრის შედეგად განადგურდა 2016 $მ^2$ სასაწყობე ფართი. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე მიდინარეობს გამოძიება.

- 2015 წლის 22 იანვარს, სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის მე-11 განყოფილებაში მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის №004220115003 საქმეზე ქ. თბილისში ქ.წამებულის გამზ. N 98-ში მდებარე ე.წ. მეორადი ნაწილების ბაზრობის ტერიტორიაზე განთავსებული ავტოსახელოსნოების ხანძრის შედეგად განადგურების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე დათვალიერებული იქნა შემთხვევის ადგილი, დაკითხულ იქნა დაცვის თანამშორმლები, მაშველი მეხანძრეები, ბაზრობის დირექტორი და ბაზრობის ტერიტორიაზე ხანძრის შედეგად განადგურებული ჯიხურების მეპატრონეები. დანიშნულ იქნა სახანძრო ექსპერტიზა. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში არავინ მიცემულა. სისლხის სამართლის საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

- 2017 წლის 30 იანვარს, სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს პოლიციის მე-4 განყოფილებაში, დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის N002300117002 საქმეზე, ქ. თბილისში თევდორე მღვდლის ქუჩა N7–ში მდებარე სავაჭრო ცენტრ "ბავშვთა სამყაროში" და მის მიმდებარედ განლაგებულ ბაზრობებზე ხანძრის გაჩენის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187–ე მუხლის მე-3 ნაწილით. 2017 წლის 29 მაისს, აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე გადაიგზავნა საქართველოს პროკურატურაში.

- 2018 წლის 27 თებერვალს, სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ინფორმაციის თანახმად, გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის №002270218001 საქმეზე, ქ.თბილისში თევდორე მღვდლის ქუჩაზე მდებარე ბაზრობის შპს ,,ქალაქის გულის“ ცეცხლის წაკიდების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალსწინებული დანაშაულის ნიშნებით. აღნიშნულ საქმეზე ჩატარდა სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებები, მათ შორის დაიკითხნენ მოწმეები, ხანძრის მიზეზების და მიყენებული ზიანის დასადგენად დანიშნულია ექსპერტიზები. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

- 2014 წლის 7 დეკემბერს, სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ბათუმის საქალაქო სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №171071214001 საქმეზე, ქ. ბათუმში აღმაშენებლის ქუჩა N21-ში ე.წ. ,,ხოფის" ბაზრობაზე (შპს ,,სავაჭრო ცენტრი 2009'') გაჩენილი ხანძრის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 188-ე მუხლის მე-2 ნაწილით. სისხლის სამართლის №171071214001 საქმეზე პასუხისგებაში მიცემულია 2 (ორი) პირი.

- 2014 წლის 25 აგვისტოს სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ინფორმაციით, სენაკის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №068250814001 საქმეზე, ქ. სენაკში, ჭავჭავაძის ქუჩაზე განთავსებულ სავაჭრო ცენტრში, ცეცხლის წაკიდებით სხვისი ნივთების განადგურების ფაქტზე. დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით. აღნიშნულ საქმეზე დათვალიერდა შემთხვევის ადგილი, დაიკითხნენ თვითმხილველები, ჩატარდა სახანძრო ტექნიკური ექსპერტიზა. სისხლის სამართლის №068250814001 საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

- 2016 წლის 2 აგვისტოს სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ზესტაფონის რაიონულ სამმართველოში, დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №052020816002 საქმეზე, ქ. ზესტაფონში, ჭანტურიას ქუჩა №122-ში მდებარე ტანსაცმლის ბაზრობა შპს „საირხე"-ს ხანძრის შედეგად დაზიანების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმზე ჩატარდა სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებები, კერძოდ დათვალიერდა შემთხვევის ადგილი, დაიკითხნენ დაზარალებულები, ჩატარდა სახანძრო ტექნიკური ექსპერტიზა. სისხლის სამართლის №052020816002 საქმეზე გრძელდება გამოძიება.

- 2017 წლის აგვისტოს თვეში, სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ინფორმაციით, ბორჯომის რაიონის სოფელ დაბის ტერიტორიაზე მდებარე ტყეში მომხდარი ხანძრის ფაქტზე, დაიწყო გამოძიება სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოში სისხლის სამართლის N020200817001 საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

- რაც შეეხება, 2014 წლის სექტემბრის თვეში ე.წ. "ბოშათა" ბაზრობაზე და 2017 წლის 17 ივლისს "დეზერტირების" ბაზრობაზე გაჩენილი ხანძრების მიზეზების დასადგენად ჩატარებული საგამოძიებო ქმედებების, ასევე მათი შედეგების თაობაზე ინფორმაცია გეცნობებათ დამატებით.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი)
საჯარო ინფორმაციის სამმართველოს უფროსი
თათია ცეცხლაძე